პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 122 (4892) 23 ივნისი, შაბათი, 1973 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1924 წლის 18 აპრილიდან

## ერთადერთი გოლი

„... 67-ე წუთზე ქაირზინიოს მიერ თავური დარტყმით გატანილმა ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა სსრ კავშირისა და ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის ბედი. შესაძლოა ამ მინიმალურმა ანგარიშმა ათქმევინა მსოფლიო ჩემპიონთა გუნდის უფროს მწვრთნელს მარიო ზაგალოს, რომ მას 21 ივნისს ლუჟნიკში მოეწონა სსრ კავშირის ნაკრების თამაში. „ბოლოს და ბოლოს მთელმა ჩვენმა დელეგაციამ — მოთამაშეებმაც, მეთვალყურეებმაც და ჟურნალისტებმაც ნახეს, რაც არის ნამდვილი ევროპული ფეხბურთი. საბჭოთა სპორტსმენებმა დიდი სიჩქარეები გვიჩვენეს, რომლის დროსაც მათს წინააღმდეგ თამაში საკმაოდ რთული იყო“, — განაცხადა ზაგალომ.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: სსრ კავშირი — პილგუი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ლოვჩევი, კაპლიჩნი, კოლოტოვი, მუნტიანი, ვასენინი, ზინჩენკო, ონიშჩენკო (ნიკონოვი), ბლოხინი; ბრაზილია — ვენდელი, ლუის პერეირა, მოიზესი, ზე მარია, კლოდოალდო, მარკო ანტონიო, ვალდომირო, რიველინო, ქაირზინიო, ლევინია, პაულო ცეზარი.

ბრძოლა თანაბარი იყო. საბჭოთა ფეხბურთელებმა მეტოქის კარის აღების რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, თანაც, ისინი მეტისმეტად იშვიათად ურტყამდნენ ბრაზილიელთა კარში.

კარგად იმსაჯა ჰ. ვაილანდმა (გფრ).

• • •



სურათზე: პაულო ცეზარისა და რ. ძოძუაშვილის ორთაბრძოლის მომენტი.

ტ. ტიმოფეევის ფოტო. („კომსომოლსკაია პრავდა“).

• • •

მატჩის წინ მოეწყო საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატის ა. შესტერნიოვის გაცილება. მაყურებლები და ფეხბურთელები გულითადად მიესალმნენ სახელმოხვეჭილ ვეტერანს, რომელმაც 91 მატჩი ჩაატარა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და ქქვს წელიწადს იყო მისი კაპიტანი. დღეს კი შესტერნიოვმა კაპიტნის ლენტი შეიხსნა მკლავიდან და ესტაფეტასავით გადასცა მ. ხურცილავას.

## ფავორიტების ციებ-ცხელება

ლენინგრადში, მოჭადრაკე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირში XIII ტურით ფინიში დაიწყო.

ფავორიტთაგან პრეტენდენტთა საგზურების მოპოვების შანსი განიმტკიცეს ვ. კორჩნოიმ და ა. კარპოვმა (ორივე — სსრ კავშირი).

კორჩნოიმ ი. რადულოვთან (ბულგარეთი) ლაზიერის მიღებულ გამბიტში პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. მე-17 სვლაზე ბულგარელმა დიდოსტატმა უსწოროდ ითამაშა და ოციოდე სვლის შემდეგ კორჩნოიმ მას ფარ-ხმალი დააყრევინა.

მართალია, კარპოვმა პარტია ს. გლიგორიჩთან (იუგოსლავია) გადადო, მაგრამ მას ზედმეტი პაიკი და მოსაგები პოზიცია აქვს. წინადღით კი კარპოვმა მ. ტალთან (სსრ კავშირი) უარეს პოზიციაში გადადებული პარტია ყაიმით დაამთავრა.

მდგომარეობა გაუუარესდა ბ. ლარსენს (დანია). მ. კინტეროსთან (არგენტინა) მან ძველინდური დაცვა გაითამაშა, მაგრამ ზედმეტი რისკი გასწია. ხელსაყრელ მომენტში ფიგურის შეწირვით კინტეროსმა დიდი პოზიციური უპირატესობა მიიღო. 37-ე სვლაზე ლარსენი დანებდა.

ენერგიულად ითამაშეს ი. სმეიკალმა (ჩეხოსლოვაკია) და რ. ჰიუბნერმა (გფრ). გრიუნფელდის დაცვაში სმეიკალმა ვ. ტუკმაკოვთან (სსრ კავშირი) პაიკი მოიგო. პარტია დაუმთავრებელი დარჩა. საკმარისია ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა ფიგურების გადაჯგუფება დაამთავროს, რომ მატერიალური ნადავლი ქულად იქცევა. ჰიუბნერს ვ. ტორესთან (ფილიპინები) მოსაგები პოზიცია აქვს.

გ. ესტევესმა (კუბა) სძლია მ. კუელარს (კოლუმბია).

დანარჩენი პარტიები გადაიდო. რ. ბირნის (აშშ) და გ. კუზმინის (სსრ კავშირი) ავადმყოფობის გამო არ შედგა მათი შეხვედრები ტალთან და ვ. ულმანთან (გდრ).

13 ტურის შემდეგ ვ. კორჩნოის 10 ქულა აქვს, ა. კარპოვს — 9 ქულა და 1 გადადებული პარტია, ი. სმეიკალს — 8 (1), ბ. ლარსენს — 8, რ. ჰიუბნერს — 7,5 (1).

• • •



სურათზე (მარცხნიდან): ვ. კორჩნოი, ბ. ლარსენი, მ. კუელარი და ა. კარპოვი.

ვ. გალაკტიონოვის ფოტო.

## კარგად დაიწყეს

ლონდონი, 20 ივნისი. საბჭოთა ჩოგბურთელებმა — მოსკოველმა ო. მოროზოვამ და თბილისელმა ა. მეტრეველმა კარგად დაიწყეს „კუინს-კლაბის“ ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება — ბოლო ასპარეზობა სახელგანთქმული უიმბლდონის ტურნირის წინ.

მოროზოვამ დაამარცხა ურუგვაის წარმომადგენელი ფ. ბონისელი (6:2, 8:6), ხოლო მეტრეველმა უკვე ორი წრე განვლო წარმატებით: ჯერ ავსტრალიელ ჯ. მასტერსს აჯობა (7:5, 1:6, 6:3), მერე კი ცნობილ ჰოლანდიელ ჩოგბურთელს ტ. ოკერს სძლია — 7:6, 6:8, 6:4.

შეჯიბრების პირველივე ეტაპმა ბევრი მოულოდნელობა მოიტანა. მაგალითად, მ. ესტეპმა (აშშ) დაამარცხა გამოცდილი თანამემამულე მ. რისენი (7:5, 6:2), ამერიკელმა ჰ. სოლომონმა მოუგო ძლიერ იტალიელ ჩოგბურთელს ა. პანატას (6:4, 6:1), ი. ელ შაფეიმ (არაბეთის რესპუბლიკა ეგვიპტე) აჯობა ამერიკელ კ. რიჩის (3:6, 7:5, 6:3), ხოლო იტალიელმა პ. ბერტოლუჩიმ — ავსტრალიელ ტ. როჩს — 6:3, 8;9, 6:4.

მოულოდნელი იყო ნორჩი ამერიკელი მარიტა რედონდოს გამარჯვება გამოცდილ ფრანგ ჩოგბურთელთან ფრანსუაზა დიურთან — 6:4, 6:2.

## დიდოსტატური შედეგით

კიევი, 20 ივნისი. 5387 ქულა — ასეთი დიდოსტატური შედეგით გაიმარჯვა სსრ კავშირის, უნგრეთის, გფრ-ისა და პოლონეთის ტრადიციულ მატჩში თანამედროვე ხუთჭიდის ლვოველმა ოსტატმა ლ. ივანოვმა. II ადგილზე გავიდა 1971 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ზ. ვილანიი (უნგრეთი) — 5272 ქულა. III ადგილზეა 42 წლის კიეველი ვეტერანი გ. ფროლენკო — 5187.

უძლიერესი საბჭოთა ხუთჭიდელები სამ ნაკრებ გუნდში „განაწილდნენ“ — უკრაინის, ლატვიისა და ესტონეთის კოლექტივებში. პირად ჩათვლაში ივანოვის ბრწყინვალე გამოსვლამ არსებითი გავლენა მოახდინა გუნდური I ადგილის ბედზე: გაიმარჯვეს უკრაინის ათლეტებმა — 15669 ქულა. ივანოვის მხარდამხარ ამ გუნდის ღირსებას იცავდნენ ფროლენკო და პ. ლედნიოვი. მათ 606 ქულით აჯობეს II ადგილზე გასულ უნგრელებს. III ადგილზეა პოლონეთის ნაკრები — 14612 ქულა.

უნგრეთის გუნდმა (უფროსი მწვრთნელი ი. ნადი მას „1976 წლის ოლიმპიურ ნაკრებს“ უწოდებს) შეჯიბრება ძალიან ძლიერად დაიწყო. საფარიკაო ბილიკზე საუცხოოდ ასპარეზობისა და საცხენოსნო სარბიელზე კარგად გამოსვლის შემდეგ მან ორასზე მეტი ქულით ჩამოიტოვა უკრაინის გუნდი, მაგრამ შემდეგ თანდათან დათმო მოწინავე ადგილი.

გუნდური მეტოქეობის სიუჟეტი თითქმის ზუსტად გამეორდა ორი ლიდერის — ივანოვისა და ვილანიის პაექრობაში. პირველი ორი დღის შემდეგ III ადგილზე მყოფმა ლვოველმა ხუთჭიდელმა წინსვლა სროლის შემდეგ დაიწყო, როცა პირველად გაუსწრო მეტოქეს, და ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა. ბევრს წყვეტდა, რა თქმა უნდა, მძლეოსნური კროსი: აქ ივანოვი მესამე იყო, ვილანიიმ კი XVI ადგილი დაიკავა.

პირად ჩათვლაში IV ადგილზეა ესტონელი ს. შტორკი (5152), V — პ. ბაკო (უნგრეთი) — 5145, ხოლო VI — ლედნიოვი.

● ვენა, 20 ივნისი. საბჭოთა ველოსიპედისტები ისევ ლიდერობენ ავსტრიის 25-ე მრავალდღიანი რბოლის საერთო გუნდურ ჩათვლაში — ხუთი ეტაპის შემდეგ მათ საუკეთესო შედეგი აქვთ. V ეტაპი (ინსბრუკი — ფელდკირჰი, 163 კმ) ომსკელმა ი. ოსინცევმა მოიგო — 4:01.32. II და III ადგილებზე გავიდნენ ლენინგრადელი ვ. ნელიუბინი და კუიბიშეველი ი. ლავრუშკინი. მათ, ისევე როგორც მრბოლელთა დიდმა ჯგუფმა, ისეთივე დრო აჩვენეს, როგორიც გამარჯვებულმა. 5 ეტაპის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობს ავსტრიელი ბ. შტაინმაიერი — 17:36.06. II ადგილზეა ნელიუბინი — 17:36.20. ლავრუშკინი მეოთხეა, გორელოვი — მეხუთე.

● კიევი, 21 ივნისი. დღეს უკრაინის დედაქალაქში სტარტი აიღო სსრ კავშირის ჩემპიონატმა წყალში ხტომაში. მედლებისთვის ბრძოლაში პირველნი ქალები ჩაებნენ, რომლებიც 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ფინალური ეტაპის რვა მონაწილიდან (სულ კი სტარტი 24 სპორტსმენმა აიღო) ყველაზე თანაბრად გამოცდილმა ვოლგოგრადელმა მხტომელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. სელინამ იასპარეზა. მან 349,77 ქულა დააგროვა და ჩემპიონიც გახდა. ვერცხლის მედალი კიევის დინამოელს, 17 წლის ოსტატობის კანდიდატს ლ. ტიტარენკოს ხვდა — 327,87 ქულა. ბრინჯაოს ჯილდო ალმაათელმა ე. ტერეშჩენკომ მოიხვეჭა — 313,14.

სსრ კავშირის თასი

## შინ — წაგება, სტუმრად — რევანში

ბაქო, 21 ივნისი (ტელეფონით). გუშინ აქ გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო თასის მორიგი კალენდარული მატჩი ამიერკავკასიის ზონის ქალთა კოლექტივების მონაწილეობით: ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და ადგილობრივი „ბურევესტნიკი“.

როგორც ცნობილია, ამ კოლექტივთა პირველ შეხვედრაში, რომელიც თბილისში ჩატარდა, საქართველოს კალათბურთელები დიდხანს ინიციატივას ფლობდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ.

განმეორებითი მატჩი თბილისელმა სტუდენტებმა უფრო მონდომებულად და ორგანიზებულად ჩაატარეს. პირველი ტაიმის მოგების შემდეგ (32:28) ისინი წინ იყვნენ მეორე ტაიმშიც, მაგრამ 31-ე წუთისთვის ბაქოელებმა ანგარიში გაათანაბრეს — 50:50.

თამაშის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე აზერბაიჯანის კალათბურთელები დაწინაურდნენ — 63:59. სწორედ ამ დარჩენილ დროში თბილისელებმა ხელიდან გამოჰგლიჯეს მეტოქეს გამარჯვება: ჯერ იყო და მაღლაკელიძემ ზუსტად ტყორცნა კალათში, მერე კი ჯანიაშვილმა ორჯერ მოახვედრა მიზანს და თავის კოლექტივს გამარჯვება მოუტანა — 67:63.

ბაქოელთაგან სნაიპერული სროლით თავი გამოიჩინეს: ნემოვამ (19 ქულა) და დანილენკომ (15), თბილისელთა შორის — გრიგოლაშვილმა (20) და მაღლაკელიძემ (18).

ამიერკავკასიის ზონის ქალთა კოლექტივების ასპარეზობას დამაჯერებლად ლიდერობს კიშინიოვის „ინქდორსტროი“, რომელსაც ორიდან 2 ქულა აქვს (მან შინ დაამარცხა ბაქოსა და თბილისის გუნდები). საქართველოსა და აზერბაიჯანის კოლექტივებმა თითო ქულა მიიღეს (როგორც ცნობილია, ქალთა ტურნირში არ მონაწილეობენ სომხეთის კალათბურთელები).

## რეკორდები დამტკიცებულია, ვადები — დადგენილი

ევროპის ვაჟთა ჩემპიონატი ციგურებით სწრაფრბენაში 1974 წლის 26-27 იანვარს მოეწყობა ესკილსტუნაში (შვეცია), ხოლო მსოფლიო ჩემპიონატი ინცელში (გფრ) ჩატარდება 9-10 თებერვალს. როგორც ფრანს პრესის სააგენტო დავოსიდან (შვეიცარია) იუწყება, ეს ვადები 19 ივნისს დაასახელა მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის სამდივნომ, რომელიც ახლახან კოპენჰაგენში შეიკრიბა კონგრესზე. იქ განიხილეს კავშირის საგაისო კალენდარი.

ევროპის მოციგურავე ქალთა ჩემპიონატი 1974 წლის 2-3 თებერვალს ჩატარდება მედეოში, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატი — 23-24 თებერვალს ჰოლანდიაში.

ამავე დროს გადაწყდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატები სპრინტერულ მრავალჭიდში ქალებისა და ვაჟებისთვის ჩატარდება ინსბრუკში (ავსტრია) 16-17 თებერვალს, ხოლო ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში — ზაგრებში (იუგოსლავია) 29 იანვრიდან 2 თებერვლამდე. მსოფლიო ჩემპიონატი მიუნჰენში მოეწყობა 5-9 მარტს.

კონგრესმა დაამტკიცა ამ ზამთარს ციგურებით სწრაფრბენაში დამყარებული შემდეგი მსოფლიო რეკორდები: ვაჟები. ლასე ეფშინი (ნორვეგია) — 500 მ — 38,0, 1000 მ — 1.17,6 (დავოსი, 13 იანვარი), აგრეთვე, ჯამი — 154,400 ქულა სპრინტერულ მრავალჭიდში; ქალები. შეილა იანგი (აშშ) — 500 მ — 41,8 (დავოსი, 19 იანვარი), სპრინტერული მრავალჭიდის ჯამი — 173,450 ქულა (დავოსი, 19-20 იანვარი).

ჟამი ფიქრისა და განსჯისა

# მივხედოთ ჩამორჩენილ სახეობებს!

დღის წესრიგშია ცურვა

## ჩვენი საზრუნავი

ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა უძლიერესი მოცურავეები 1944 წლიდან ყოველ გაზაფხულზე საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის ზამთრის საცურაო აუზებში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე საასპარეზოდ ხვდებიან ერთმანეთს. ასე ჩაეყარა საძირკველი შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში მოცურავეთა მიერ გაწეული მუშაობის შემოწმებას.

წლეულს ამ გაზეთის პრიზი ოცდამეცხრედ გათამაშდა, ჭაბუკებმა და მოზარდებმა კი უკვე მეჩვიდმეტე შეჯიბრება გამართეს. ასპარეზობა ახლა ვაჟების, ჭაბუკებისა და ბიჭებისათვის პირველად ჩატარდა ცალკე — ჩელიაბინსკში, ქალები და გოგონები კი რიგაში გამოდიოდნენ.

ასპარეზობა პირად-გუნდური იყო და სრული ოლიმპიური პროგრამით ტარდებოდა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ახლა შეიძლება გულდასმით გავაანალიზოთ ამ შეჯიბრებისთვის ჩვენი მზადების ავ-კარგი, ვილაპარაკოთ მონაწილეთა დამსახურებაზე.

გადავხედოთ წინა შეჯიბრებებისა და წლევანდელ ოქმებს.

1970 წელს სარბიელზე ჩვენი 18 სპორტსმენი გამოვიდა, აქედან სამი უფროსი ასაკისა იყო, ხოლო თხუთმეტი ჭაბუკებსა და ქალიშვილებში ასპარეზობდა. მათ გუნდს 55 ქულა მისცეს (უფროსებმა — 32, უმცროსებმა — 23). დინამოელთა წილად მოდის 51 ქულა, „სპარტაკის" (განათლების განყოფილება) წილად — 4. საქართველოს გუნდმა V ადგილი დაიკავა.

1971 წელი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 8 უფროსი და 19 უმცროსი ასაკის სპორტსმენი. გუნდმა 102 ქულა დააგროვა (უფროსებმა — 53, უმცროსებმა — 49) და V ადგილი დაიკავა. დინამოელებმა მიიღეს 82 ქულა, „განთიადმა" — 18, „შრომითმა რეზერვებმა" — 2. ამასთან, ეს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მზადებისა და ცურვის აღმავლობის წელი იყო. სპარტაკიადაშიც V ადგილი დავიკავეთ.

1972 წელი. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 სპორტსმენი (4 უფროსი, 11 კი უმცროსი ასაკისა). გუნდმა 96 ქულა მიიღო (უფროსებმა — 89, უმცროსებმა — 7). ისევ V გუნდური ადგილი გვხვდა. დინამოელებმა დააგროვეს 93 ქულა, განთიადელებმა — 3.

სად იყვნენ სხვა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების წარმომადგენლები? შეიცვალა თუ არა რამე ამ წლების შემდეგ?

აი, რას გვეუბნება წლევანდელი ასპარეზობის ოქმები: შეჯიბრებაში 15 მოცურავე ჩაება — 3 უფროსი და 12 უმცროსი ასაკისა. მათ 299 ქულა დააგროვეს, მაგრამ ქალები ძალიან ცუდად გამოვიდნენ, გუნდს ვერაფერი შემატეს და, პირიქით, 9 საჯარიმო ქულაც მიიღეს (საქმე ისაა, რომ ახლა ნორმატივის შეუსრულებლობა სხვა სპორტსმენთა დაგროვილ ქულებზეც მოქმედებს). შედეგად 299 ქულას ის 9 საჯარიმოც გამოაკლდა და 290 დაგვრჩა. უფროსებმა გუნდს მისცეს 228 ქულა, უმცროსებმა — 71 (ამას 9 გამოაკლდა). ვაჟებს ეკუთვნით ყველა 299 ქულა, ქალებს — მინუს 9. „დინამომ" დააგროვა 269 ქულა, „განთიადმა" და განათლების განყოფილებამ — 21.

უნებურად იბადება კითხვა: რას აკეთებენ დანარჩენი უწყებები? როდის მიაქცევენ ისინი სათანადო ყურადღებას ცურვას? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ცურვა ხომ სავალდებულოა მშდ კომპლექსის ნორმატივებში!

ძალიან ცუდად ვითარდება ცურვა ქალთა შორის. ჩვენ სპარტაკიადიდან სპარტაკიადამდე ვლაპარაკობთ ამაზე, ათასგვარი გადაწყვეტილებები გვაქვს მიღებული, მაგრამ პრაქტიკულად ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა. ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში 3000-მდე მოსწავლე გვყავს. მათგან 800 მარტო გოგონაა. ამავე სკოლებში 1961 წელს და უფრო გვიან დაბადებული 2400 ბავშვია. მათგან საიმედო ცვლას უნდა ველოდეთ, უკეთეს შემთხვევაში, ოთხ-ხუთ წელიწადში. სადღეისოდ გვრჩება მხოლოდ სპორტსმენთა პატარა ჯგუფი, რომელიც ძირითადად თავმოყრილია თბილისში და მხოლოდ ცურვის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის წყალობით ხდება შესაძლებელი ერთგვარი წარმატების მოპოვება.

სულ უფრო სერიოზული ხდება ჩვენთვის წყლის პრობლემა. წარსულ წლებში ჩატარებული წვრთნის დონე უკვე სასაცილოდ გვეჩვენება, ძველი საშუალებები დღეს აღარ გამოგვადგება, მაგრამ ბევრი მწვრთნელი მაინც ძველებურად მუშაობს.

მწვრთნელი მუდამ სანიმუშოდ უნდა იქცეოდეს თავის მოწაფესთან — თამბაქოს არ ეწეოდეს, თავმდაბალი იყოს, სპორტული ტანსაცმელი ეცვას, არ აგვიანებდეს მეცადინეობაზე. ჩვენ ყოველივე ამას ზოგჯერ ყურადღებას არ ვაქცევთ. ზოგიერთი ხშირად აცდენს მეცადინეობას. მწვრთნელი მოწაფეს, რასაკვირველია, ყურადღებით, მეგობრულად უნდა ექცეოდეს, მაგრამ საჭირო არ არის თვითონ მოვექცეთ კარგი მოცურავის ან რეკორდსმენის გავლენის ქვეშ, მხოლოდ მის ჭკუაზე ვიაროთ. ამას გარდა, ბევრი მწვრთნელი ბავშვს ცურვას ასწავლის და მერე უკვე თავის საკუთრებად მიაჩნია იგი. თუ სხვა ორგანიზაციაში გადავიდა, მოწაფეც თან მიჰყავს, თუნდაც საამისოდ ათასგვარი ხერხის გამოყენება დასჭირდეს.

მაგალითად, მწვრთნელი მ. ამილახვარი „დინამოდან" „განთიადში" გადავიდა პირადი თხოვნით და თან წაიყვანა თავისი მოწაფეების სამი ჯგუფი. ასევე გადაიყვანეს თავიანთი მოწაფეები მწვრთნელებმა ლ. სალუქვაძემ და გ. გაგოშიძემ „ლოკომოტივიდან" „განთიადში", გ. ჩიქვანაიამ — „დინამოდან" „შრომით რეზერვებში". ყველაზე მეტად ამით „ლოკომოტივის" ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა დაზარალდა. ზოგიერთ მწვრთნელს არ უნდა, როცა საჭიროა, თავისი მოწაფე უფრო გამოცდილ, კვალიფიციურ მწვრთნელს გადასცეს, რაც საერთო საქმის წარმატებას უშლის ხელს.

ბევრი მწვრთნელი ერთხელ მიღწეულს სჯერდება. ამას გარდა, დროა ბოლო მოეღოს ორგანიზაციების ერთმანეთისადმი დაპირისპირებას, არაჯანსაღ დამოკიდებულებას. როგორც „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე შეჯიბრებამ გვიჩვენა, გასაყოფი ბევრი არაფერი გვქონია.

რესპუბლიკის სპორტული საცურაო ბაზების საკითხი ბევრჯერ ქცეულა მსჯელობის საგნად. ჩვენ ძალიან გვიჭირს ბრძოლა ცურვის ისეთი დიდი ცენტრების წარმომადგენლებთან, როგორიცაა, მაგალითად, რუსეთის ფედერაცია (270 აუზი), უკრაინა (70-მდე), ყაზახეთი, უზბეკეთი და სხვ. იქ იმდენი საცურაო აუზია, რამდენიც ჩვენ კვალიფიციური მოცურავე გვყავს.

გასულ წლებში ფოთსა და სოხუმს კარგი მოცურავეები ჰყავდათ და საქართველოს ნაკრებს წევრებს უზრდიდნენ. ბათუმში ცუდად დგას მოცურავეთა აღზრდის საქმე. თბილისში სპორტული მუშაობისთვის ერთადერთი საქართველოს სპორტკომიტეტის აუზი გამოდგება, მაგრამ ისიც ზედმეტად დატვირთულია და ვეღარ სწვდება მოცურავეებს, წყალბურთელებს, წყალში მხტომელებს, ხუთჭიდელებს, წყალქვეშ მოცურავეებს, ფიზკულტურის ინსტიტუტს, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებლებს. ამიტომ აუზის იჯარით აღებისთვის სპორტულ ორგანიზაციებსა და მწვრთნელებს შორის ნამდვილი ომია.

„ლოკომოტივის" აუზი, მიუხედავად მთელი რიგი დადგენილებებისა და საგაზეთო წერილებისა, ისევ კეთილმოუწყობელია და შეიძლება შუა ზაფხულში მწყობრიდან გამოვიდეს. სოხუმში მოცურავეებთან მუშაობა ლამის ჩაიშალოს, ვინაიდან მოსკოვის სამხედრო ოლქის სანატორიუმის აუზში არავის უშვებენ, დოსააფის ზღვისპირა ბაზას კი მზრუნველი პატრონი არ გამოუჩნდა.

გადასაჭრელი პრობლემა ჯერ კიდევ ბევრია. ყველაფრის თქმა და აღნიშვნა ერთ წერილში, რა თქმა უნდა, არ მოხერხდება.

წლეულს კიდევ გველის საპასუხისმგებლო შეჯიბრებები. ესაა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩათვლაში შემავალი ახალგაზრდული თამაშები, უნივერსიადა. ამას გარდა, იუგოსლავიაში მსოფლიო ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს. იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის მოცურავეებს ამ დიდი შეჯიბრების სარბიელზეც ვიხილავთ.

**ლ. იოაკიმიძე,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

---

# ზოგიერთ რესპუბლიკურ კომიტეტში სძინავთ

თბილისის სპორტულ ბაზებზე დამთავრდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს სპარტაკიადა, რომლის ძირითადი მიზანიც მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარება იყო. ღონისძიება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა და ორ ტურად გაიმართა. I ტურის შეჯიბრებები შარშან ნოემბერში მოეწყო, მეორე კი წლეულს მაისის დამლევს. შემდეგ შეჯამდა სპარტაკიადის შედეგები.

მეორე ტურის შეჯიბრებები საკმაოდ მასობრივი იყო. მარტო ტყვიის სროლაში ცეცხლის ხაზზე 10 გუნდის 227 სპორტსმენი გამოვიდა. მართალია, ამ სახეობაში მშდ კომპლექსის ნორმატივი მხოლოდ 61-მა ჩააბარა (მათგან 18-მა ოქროს, 43-მა კი ვერცხლის სამკერდე ნიშანზე), მაგრამ ძალიან ბევრს მიზნამდე მხოლოდ ერთი ორი ქულა დააკლდა.

ვაჟთა შორის ყველას აჯობა თბილისის სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა, 61 წლის ლ. ნადირაძემ (სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირი), რომელმაც 50-დან 46 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულა ჰქონდა ი. იანბუხტანს (ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირი), მაგრამ პირველობა ნადირაძეს მიეკუთვნა. მშდ კომპლექსის ნორმატივი ორივემ ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა.

ქალთა შორის იმარჯვა ს. ნიკოლენკომ (კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირი) — 42.

გუნდური პირველობა ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წევრებს ხვდათ წილად.

ამავე კავშირის წარმომადგენლებმა იმარჯვეს მაგიდის ჩოგბურთშიც. ფინალში მათ სძლიეს განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის კოლექტივს — 3:0.

სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ნაკრებმა სამ სახეობაში იმარჯვა: მძლეოსნობაში, ხელყუმბარის ტყორცნასა და ტურიზმში.

ცუდად არც სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის ნაკრები გამოსულა. 500 მეტრზე ქალთა და 1000 მეტრზე ვაჟთა კროსში ამ კავშირის გუნდის წევრებმა ნ. დავიდენკომ (1.25,0) და ა. შუტოვმა (2.53,6) იმარჯვეს და გუნდს I ადგილი მოაპოვებინეს.

სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ფრენბურთელმა ვაჟებმა ყველა მეტოქეს აჯობეს, ქალებმა კი მხოლოდ განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების კავშირის ნაკრებთან წააგეს.

ცურვაში ყველაზე კარგად კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარმომადგენლებმა ისასპარეზეს. მათ 97 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ, 50 ქულით ნაკლები, ვიდრე II ადგილზე გასულებს — განათლების მუშაკებს.

სპარტაკიადის II ტურის საერთო კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვება სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წევრებს ხვდათ — 26 საჯარიმო ქულა. II ადგილი დაიკავა ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის კოლექტივმა — 36, III — განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა კავშირმა — 42.

სპარტაკიადაში აქტიური მონაწილეობისთვის თავი არ შეიწუხეს გეოლოგიური დაზვერვის (მხოლოდ მძლეოსნობაში გამოვიდნენ), საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების (არ გამოსულან ტურიზმში, ცურვაში, კროსში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებაში), ავიაციის (არ მონაწილეობდნენ ტურიზმსა და ფრენბურთში), კვების (არ გამოსულან ტურიზმში, მძლეოსნობაში, კროსში, ხელყუმბარის ტყორცნაში, ფრენბურთელ ქალთა შეჯიბრებაში) მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა (თავმჯდომარეები: შ. გეგეჭკორი, ი. კაკაშვილი, ი. ბურდული, ო. ხასაშვილი). ამ კავშირების ფიზკულტურისა და სპორტის დარგობრივი ბიუროები პრაქტიკულ საქმიანობას მოწყვეტილი არიან.

სპარტაკიადის მეორე ტურის შეჯიბრებებმა კარგად ჩაიარა, მაგრამ ერთმა გარემოებამ მას მაინც მიაყენა ჩრდილი: ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ტურისტთა გუნდში სხვისი სპორტსმენები აღმოაჩინეს. მსაჯთა კოლეგიამ, რა თქმა უნდა, გუნდი ასპარეზობიდან მოხსნა, მაგრამ არა გვგონია, დამნაშავენი უფრო დიდი სასჯელის ღირსი არ იყვნენ. დასანანია, რომ პროფკავშირებში სათანადოდ ვერ აფასებენ აქტიური დასვენების ისეთ შესანიშნავ საშუალებას, როგორიც ტურიზმია. ამ სახეობაში სარბიელზე მარტო ორი (სახელმწიფო ვაჭრობისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირები) გუნდი გამოვიდა.

პროფკავშირთა იმ დარგობრივმა კომიტეტებმა, რომელთაც მომსახურებას „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო უწევს, ამ საზოგადოებასთან ერთად მეტი უნდა იზრუნონ მშრომელთა აქტიური დასვენებისა და ფიზიკური წრთობისთვის.

შეჯამდა სპარტაკიადის ორივე ეტაპის შედეგები. საპრიზო ადგილები გაინაწილეს: მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოების (თავმჯდომარე ვ. ყიფიანი, ფიზკულტურის ინსტრუქტორი მ. კიპაროიძე. 64 საჯარიმო ქულა), სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის (კ. გურული, ჯ. ელიზბარაშვილი. 73), განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების (დ. იოსელიანი, ნ. ყასუმაშვილი. 76) მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტების კოლექტივებმა.

**რ. მაღრაძე.**

---

ქუთაისის საჭადრაკო ცხოვრების წარსულიდან

# პირველი ნაბიჯები

გასული საუკუნის 80-ან წლებში ქუთაისში ეგრეთ წოდებული „კრუჟოკი" შეიქმნა. აქ იმართებოდა ცეკვისა და ლიტერატურული საღამოები, იყო მსჯელობა სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე. წლების მანძილზე საზოგადოების ერთმა ნაწილმა ეს „კრუჟოკი" ბანქოს სათამაშო ადგილად აქცია. მერე კი მათ, ვისაც აზარტული გართობა ნაკლებ აინტერესებდა, ჭადრაკის წრის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. საერთო აზრი ასეთი იყო: თხოვნით მიემართათ „კრუჟოკის" გამგისთვის, რომ ცალკე ოთახი გამოეყო ჭადრაკის წრისთვის. „კრუჟოკს" მატერიალურად უჭირდა, ამასთან, წრის წევრთა რიცხვიც მცირე იყო, მაგრამ გამგემ ჭადრაკის მოყვარულთა თხოვნა მაინც დააკმაყოფილა: „შეიძლება „კრუჟოკსაც" სხვა ფერი დაედოს, თუ არა მოჭადრაკეთა კრუჟოკი მაინც გვეყოლებაო" („ივერია", 1891 წ. № 207).

საკუთარი ოთახი მიიღეს თუ არა, მოყვარულებმა ჭადრაკის რამდენიმე კომპლექტი იშოვეს და საქმეც დაიძრა. მოჭადრაკეთა წრის ჩამოყალიბებამ, უმთავრესად ახალგაზრდობაში, დიდი ინტერესი გამოიწვია. შეკრებილნი ჭადრაკს თამაშობდნენ, არჩევდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გათამაშებულ პარტიებს. მათი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გამოჩენილი რუსი მოჭადრაკის მ. ჩიგორინისა და გერმანელი ექიმის ზ. ტარაშის ორთაბრძოლამ, რომელიც 1893 წელს პეტერბურგში მოეწყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჭადრაკი ქუთაისში მასობრივად გავრცელდა. 1927 წელს ქალაქში ჩამოვიდა თბილისის ჭადრაკის საქალაქო სექციის წარმომადგენელი ლ. კარლინსკი ახალი საჭადრაკო ბაზის დასაარსებლად. ქუთაისის ჭადრაკის მოყვარულნი ამ თაოსნობას დიდი ინტერესით შეხვდნენ, თუმცა მალე იმედი გაუცრუვდათ — ბაზისთვის შესაფერისი ადგილი ვერ გამოინახა. არსებული კლუბის სივიწროვის მიუხედავად, ქალაქის ახალგაზრდობა მაინც მართავდა პატარა შეჯიბრებებს. ბოლოს საქმე ითავეს 1-ლი სკოლის, ინდუსტრიული ტექნიკუმისა და განათლების მუშაკთა სახლის ხელმძღვანელებმა, რომელთა დაწესებულებების კლუბები ჭადრაკის მოყვარულებს დროებით ეთმობოდათ. დაინტერესებულნი ხშირად მართავდნენ ამხანაგურ თამაშებს, ერთდროული თამაშის სეანსებს.

1933 წლიდან სარბიელზე გამოდიან ჭადრაკის მოყვარულნი ა. მათირიშვილი, გ. კირკიტაძე, ა. ძოძუაშვილი, ა. მხეიძე, დ. კუხალიშვილი და სხვ.

1938 წელს ქუთაისში გაიმართა საქართველოს ვაჟთა II ჩემპიონატი, ერთი წლის შემდეგ კი დაარსდა ქუთაისის პირველი საჭადრაკო სექცია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დიდი ენთუზიასტი ა. დგებუაძე და ყოფილი ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორი, ძველი რევოლუციონერი ი. მაჭავარიანი.

1935 წლის გაზაფხულზე ინდუსტრიული ტექნიკუმის შენობაში ქუთაისში პირველი ოფიციალური საჭადრაკო ტურნირი მოეწყო. პირველობისთვის 19 კაცი იბრძოდა. უფროსი თაობის გვერდით გამოდიოდნენ ახალგაზრდები ნ. ალხაზაშვილი, ვ. ზავრიევი, ლ. ოთხმეზური, ს. გლებოვი, გ. მაჭავარიანი, მ. ლევკოვიჩი, ვ. ფანცულაია, ა. მხეიძე და სხვ. ტურნირში მონაწილეობა ვერ მიიღო ქალაქის უძლიერესმა მოჭადრაკემ გ. კირკიტაძემ.

თავიდანვე დაწინაურდა 24 წლის ლ. ოთხმეზური და ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა. მან 18 შესაძლებლიდან 15,5 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა. II ადგილზე გავიდა დ. კუხალიშვილი (14,5 ქულა), III-IV ადგილები გაინაწილეს ვ. ზავრიევმა და უზერმა (13-13 ქულა), V-VI — ს. გლებოვმა და გ. გაბელაშვილმა.

შეჯიბრების დასასრულს მოეწყო ქუთაისის ჩემპიონის ოთხმეზურის ერთდროული თამაშის სეანსი. მან თექვსმეტი პარტია მოიგო, ერთი წააგო და ერთიც ყაიმით დაამთავრა.

**ო. ცხადაძე,**
ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალგაზრდობის რესპუბლიკური სპორტული თამაშები

### იმნაიშვილების გამარჯვება

თბილისში არმიულ მონადირეთა საზოგადოების სასროლეთზე ორ დღეს გაგრძელდა რესპუბლიკის ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება სასტენდო სროლაში. სარბიელზე გამოვიდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისისა და ზუგდიდის კოლექტივები.

საერთო გუნდური პირველობა თბილისელებმა დაისაკუთრეს, II ადგილი დაიკავეს ქუთაისელებმა, III — აჭარის მესტენდურეებმა.

მრგვალ სტენდზე პირად შეჯიბრებაში იმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა, თბილისელმა სპორტის ოსტატმა თამაზ იმნაიშვილმა, რომელმაც 200-დან 191 ქულა მოაგროვა. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ქუთაისელი სპორტის ოსტატი გ. შენგელია მას 7 ქულით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდა თბილისელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ა. სეროვი—179.

ადგილიდან სროლაში თამაზის ძმამ თენგიზმა 181 ქულა მოაგროვა და მანაც ჩემპიონობა მოიპოვა. II ადგილი ხვდა მის თანაგუნდელ ვ. ამირხანოვს — 179. III ადგილზეა ასევე თბილისელი ნ. შეყრილაძე — 162.

შეჯიბრების რეკლამისთვის არავის უზრუნია, სასროლეთზე არ იყო ბუფეტი, მეორე დღეს ექიმი არ გამოცხადდა.

**ჯ. მოწონელიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

### დაბალი შედეგები

ჩვენი რესპუბლიკის წყალში მხტომელებს ბევრჯერ უსახელებიათ თავი საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე, მაგრამ ბოლო წლებში აღნიშნული სპორტის სახეობის დონე არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთრის პერიოდისთვის რესპუბლიკის ქალაქებს (თბილისის გარდა) დახურული აუზები არ გააჩნიათ, მწვრთნელები წლის დანარჩენ პერიოდშიც ვერ ამზადებენ სპორტსმენებს ბატუტისა და სხვა საჭირო ინვენტარის უქონლობის გამო. აღნიშნულმა ფაქტმა იჩინა თავი 15-17 ივნისს ქუთაისში რესპუბლიკის ახალგაზრდული სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში: სასპარეზოდ გამოვიდნენ სრულიად მოუმზადებელი მხტომელები, რომელთა ილეთებსაც მსაჯთა ბრიგადა დაბალ შეფასებას აძლევდა. ხშირად მხტომელები წყალში ხან ზურგით, ხან მუცლით ეცემოდნენ. შეჯიბრებას ცუდმა ამინდებმაც შეუშალა ხელი — წვიმდა და ქარი ქროდა.

გუნდების გამოყვანა მხოლოდ თბილისმა, აფხაზეთმა და ქუთაისმა შეძლეს. აჭარას ერთი მონაწილეც არ ჰყავდა. ამან მაყურებელთა სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია.

**ლ. ფაჩუაშვილი.**

ქუთაისი.

**ტექნიკური შედეგები**

**3-მეტრიანი ტრამპლინი.**

**1955-56 წ.წ. დაბადებული ქალები.** 1. ლ. ფირალიშვილი (თბილისი)—102,32 ქულა, 2. გ. ოსიპენკო — 76,74, 3. ო. ფალევიჩი (ორივე — აფხაზეთი) — 58,32. **1957-58 წ.წ. დაბად. ქალები.** 1. ს. ნიკოლოტოვა — 96,93, 2. ნ. პეტროვა — 84,13, 3. მ. ნოზაძე (სამივე — თბილისი) — 81,44; **1955-56 წ.წ. დაბად. ვაჟები.** 1. ს. ვართანოვი (თბილისი) — 138,80, 2. ო. ნაჭყებია (აფხაზეთი) — 128,74, 3. ა. გორგასვანიძე (თბილისი)—81,44. **1957-58 წ.წ. დაბად. ვაჟები.** 1. ა. დერიაბინი (აფხაზეთი) — 83,12, 2. ი. სოლოვიოვი — 82,88, 3. რ. ნიკოლაიშვილი (ორივე — თბილისი) — 82,79.

**კოშკიდან ხტომა. 1955-56 წ.წ. დაბად. ქალები.** 1. ლ. ფირალიშვილი — 67,46, 2. ო. ფალევიჩი — 47.43, 3. შ. ოსიპენკო — 36,41; **1957-58 წ.წ. დაბად. ქალები.** 1. ს. ნიკოლოტოვა — 65,83, 2. ნ. პეტროვა — 58,52, 3. ა. პაპასკირი (აფხაზეთი) — 51,50; **1955-56 წ.წ. დაბად. ვაჟები.** 1. ს. ვართანოვი—127,76, 2. ა. ანტონოვი (აფხაზეთი) — 104,47, 3. ა. გორგასვანიძე — 76,24. **1957-58 წ.წ. დაბად. ვაჟები.** 1. ა. დერიაბინი—100,70, 2. ვ. მიმინოშვილი (აფხაზეთი)—76,17, 3. ა. მისუმიანი (აფხაზეთი) — 67,16.

**გუნდური პირველობა.** 1. აფხაზეთი — 181 ქულა, 2. თბილისი — 160, 3. ქუთაისი — 51.



ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტო.

### უმრავი „სავიზიტო ბარათი" და სხვა კარგი საქმეები

ბათუმის დოსააფის რადიოკლუბის კოლექტიურ რადიოსადგურში რომ შეიხედოთ, პირველ ყოვლისა თვალში გეცემათ მსოფლიოს რუკა, რომელზეც აღნიშნულია კლუბის წევრ მოკლეტალღოსანთა კავშირის ადგილები. რუკის ირგვლივ განლაგებულია მსოფლიოს მოკლეტალღოსანთა „სავიზიტო ბარათები", საბჭოური და უცხოური — იაპონური, ფრანგული, შვედური, ნორვეგიული, ბრაზილიური, მექსიკური, ავსტრალიური, ახალზელანდიური, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომები.

ყველა ეს დიპლომი ბათუმელთა კოლექტივს მოკლეტალღოსანთა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში აქვს მოპოვებული.

რადიოკლუბის მუშაობა მარტო ამ სახეობით როდი შემოიფარგლება. ეთერში ახალი სიგნალების ძიება, მათთან კავშირის დამყარება ხომ ტექნიკური სპორტიცაა, უაღრესად საინტერესო სპორტი!

რადიოკლუბი ამ საქმის კარგი მცოდნისა და შესანიშნავი ორგანიზატორის ს. ვერხოვსკის ხელმძღვანელობით ებრძვის რადიოხულიგნებსაც. მაგრამ კლუბის მთავარი სამუშაო რადიოსპეციალისტების აღზრდა საბჭოთა არმიისა და სახალხო მეურნეობისთვის, ახალგაზრდების მომზადება რადიოსპორტისთვის.

რადიოსპორტში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი შეჯიბრება „მელებზე ნადირობაა". ასეთი შეჯიბრების მონაწილე არა მარტო კარგი რადიოკონსტრუქტორია, რომელიც თავისთვის თვითონ იმზადებს „იარაღს" — რადიოპელენგატორს, არამედ შესანიშნავი კროსმენიც. „ნადირობა" კაცს აჩვევს ადგილზე სწრაფად ორიენტირებას, გამოუმუშავებს მოქნილობას, მიხვედრილობას, ამტანობას. „მონადირე" რადიოსპორტსმენს უნდა შეეძლოს უმოკლეს ხანში მიაგნოს რადიოსადგურებს, ეგრეთ წოდებულ „მელებს", რომლებიც ყოველ ხუთ წუთში იძლევიან სიგნალებს. ხშირად ამ „მელების" მისაგნებად სპორტსმენს 25 კილომეტრის გარბენა სჭირდება.

საინტერესოა რადიოგრამების მიღება და გადაცემა, რადიოკავშირი ულტრამოკლე ტალღებზე, რადიომრავალჭიდი, რადიოსაკონსტრუქტორო მუშაობა, რადიოაპარატურის სწრაფი აწყობა, პიონერული რადიოთამაშები. ბათუმის დოსააფის რადიოკლუბის სპორტსმენები ყოველწლიურად მონაწილეობენ საქართველოს პირველობაში და საპრიზო ადგილებსაც იკავებენ. ბევრი მათგანი ჩემპიონია და საქართველოს ნაკრები გუნდების შემადგენლობაში შედის. მათ შორის 90 პირველთანრიგოსანია. ა. კოტუნი სპორტის ოსტატია, ა. ბოშჩუკი — სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

სპორტსმენთა წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის მათს მწვრთნელს ს. ვერხოვსკის, რომელიც თავის ცოდნას დაუღალავად გადასცემს მოწაფეებს. ამას გარდა, იგი დიდ მუშაობას ეწევა რადიოსპორტის განვითარებისთვის დოსააფის ორგანიზაციებში. ამის დასტურად გამოდგება ქობულეთის ი. გაგარინის სახელობის მე-2 საშუალო სკოლა, რომელიც საუკეთესოდ ითვლება საქართველოში.

ბათუმის რადიოკლუბი დოსააფის ერთ-ერთი მოწინავე კლუბია ჩვენს რესპუბლიკაში.

საკავშირო კატეგორიის მსაჯი ს. ვერხოვსკი 1958 წლიდან ბევრ საკავშირო შეჯიბრებაში ყოფილა არბიტრად მიწვეული. ახლახან ბათუმში სასიხარულო ცნობა მოვიდა: 1972 წლის შეჯიბრებებში მსაჯობის შედეგების მიხედვით სსრ კავშირის რადიოსპორტის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაასახელა სსრ კავშირის ათი საუკეთესო მსაჯი, რომელთა შორის ს. ვერხოვსკიც გახლავთ.

სსრ კავშირის რადიოსპორტის ფედერაციამ ს. ვერხოვსკი წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის მთავარ მსაჯად დანიშნა. ასპარეზობა ერევანში ჩატარდება.

**მ. ეგანოვი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**
ბათუმი.



### ფხაკაძეს სისწრაფის იმედი აქვს

ვინ რას ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ ომარ ფხაკაძისთვის წლევანდელი სეზონი განსაკუთრებული უნდა იყოს. რატომ? — შეიძლება გაოცდეს მკითხველი, წლეულს ხომ ოლიმპიური თამაშები არ ტარდება? ოლიმპიადა, რა თქმა უნდა, ოლიმპიადაა, ჩვენი პლანეტის სპორტსმენთა ოსტატობის უმაღლესი საზომი, მაგრამ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მიმართ ომარ ფხაკაძეს განსაკუთრებული პრეტენზია აქვს. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატი ტარდება ესპანეთის საკურორტო ქალაქ სან-სებასტიანში, იქ, სადაც ამ რამდენიმე წლის უკან ფხაკაძემ ოქროს მედალი მოიპოვა სპრინტში.

ომარ ფხაკაძის სპორტული ფორმა ბოლო დროს ბევრ დავას იწვევს. ექს-ჩემპიონმა მართლაც წააგო რამდენიმე ტურნირი, მათ შორის ხარკოვის საკავშირო შეჯიბრება, რომელიც ველოსპორტის ზოგიერთ გულშემატკივარს საკავშირო ჩემპიონატი ეგონა (როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები ველოსპორტის ცალკეულ სახეობებში მოგვიანებით გათამაშდება, 22 ივლისს).

ჩვენ რამდენიმეჯერ შევხვდით ფხაკაძეს, ვკითხეთ წარუმატებელი გამოსვლის მიზეზები. პასუხი მუდამ ერთი და იგივე იყო: „არც ერთი ტურნირი სისწრაფის გამო არ წამიგია. საერთოდ ფორმაში გვიან შევდივარ. შარშან ამ დროს გაცილებით სუსტად ვგრძნობდი თავს. წლეულს ფორმა ნაწილობრივ აღვიდგინე, მაგრამ, რაც მთავარია, აშკარად ვგრძნობ, რომ ტურნირიდან ტურნირამდე უკეთ მიდის საქმე".

სისწრაფე რომ სპრინტერის მთავარი ღირსებაა, ამას ალბათ მტკიცება არ სჭირდება და, ექს-ჩემპიონს თავისი სისწრაფის იმედი რომ აქვს, ეს თავისთავად უკვე ბევრს ნიშნავს.

თბილისში რამდენიმეჯერ ვნახე ფხაკაძის ვარჯიში. ასეთი მონდომებული და მობილიზებული ომარი არასდროს ყოფილა. იგი პოლონეთისა და საქართველოს ველოსიპედისტთა სამატჩო შეხვედრაშიც ხალისით ჩაება. ფხაკაძის დღევანდელი მდგომარეობა კიდევ უფრო იმიტომ მოგვეწონა, რომ თვითონ მტკიცედ იცავს რეჟიმს, სისტემატურად ვარჯიშობს და დამხმარე ტურნირებში მონაწილეობისთვის ემზადება.

ამას წინათ ტულაში გათამაშდა ტრადიციული დიდი პრიზი. სსრ კავშირის უძლიერეს ველოსიპედისტთა გარდა, სარბიელზე გამოვიდნენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, კუბის, რუმინეთის, ბულგარეთისა და გდრ-ის სპორტსმენები. საერთოდ, ტულის დიდი პრიზი სამ მთავარ ჯილდოს გულისხმობს: სპრინტში, კილომეტრიან გიტში და 4 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში. მაგრამ ტულელები, როგორც სატრეკო ველოსპორტის ჭეშმარიტი გულშემატკივრები, ყველაზე მეტად სპრინტერთა ასპარეზობით არიან გატაცებული.

მაშ ასე, ტულის დიდი პრიზის გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო ყველა ცოტა თუ ბევრად ცნობილმა სპრინტერმა, ვ. ტრიფონოვის გარდა. წინასწარ სერიებში გამარჯვების შემდეგ ექსვეულში გამოსვლის უფლება მოიპოვეს: ხარკოველმა ს. კრავცოვმა, მოსკოველმა ა. პოლეტაევმა, მინსკელმა ა. ვდოვინმა, ტულელმა ვ. კოპილოვმა, ო. ფხაკაძემ და ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთმა უძლიერესმა სპრინტერმა, მიუნჰენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ტანდემებით რბოლაში ა. ბეკმა.

მომდევნო ეტაპზე წარმატებას მიაღწიეს ფხაკაძემ, კრავცოვმა და კოპილოვმა, რომლებმაც შესაბამისად თითო სერიაში დაამარცხეს ვდოვინი, პოლეტაევი და ბეკი. ამ სამმა დამარცხებულმა მეოთხე ნახევარფინალისტის გამოსავლენად იმედის სერიაში იასპარეზა. გაიმარჯვა პოლეტაევმა, რომელმაც, ბუნებრივია, მთავარი პრიზისთვის განაგრძო ბრძოლა.

ნახევარფინალურ სერიებში მეტოქეები ორ-ორჯერ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს და, თუ ამის შემდეგ გამარჯვებული არ გამოვლინდებოდა, მონაწილეებს მესამე გადამწყვეტი ცდის უფლება ეძლეოდათ. მაგრამ დამატებითი სერიების ჩატარება ამჯერად საჭირო არ გახდა: ფხაკაძემაც და კრავცოვმაც იოლად დაამარცხეს პოლეტაევი და კოპილოვი. დარჩა გადამწყვეტი ბრძოლები, რომლებსაც პირველი ოთხი ადგილის მფლობელნი უნდა დაესახელებინა.

ფხაკაძემ ორივე ფინალური სერია მოუგო კრავცოვს და მთავარი პრიზი მოიპოვა. III ადგილისთვის ბრძოლაში კოპილოვმა პოლეტაევს სძლია.

ხშირად ვეკითხებით ომარს, ვინ მოსწონს ყველაზე მეტად თავის მეტოქეებში, ვის თვლის მთავარ კონკურენტად. პასუხი მუდამ ერთი და იგივეა — სერგეი კრავცოვი! იგი ტულაშიც მშვენიერ ფორმაში იყო. ადვილად მოიგო ყველა რბოლა ფინალამდე, იქ კი დამარცხდა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, სხვა შედეგს ფინალში არც ელოდა. კრავცოვი მუდამ ამბობს, რომ ომარი დღესდღეობით უძლიერესი სპრინტერია საბჭოთა კავშირში და მას ამ ტიტულს ალბათ დიდხანს ვერავინ შეეცილება.

გულითა და სულით გვინდა, რომ ხარკოველი ველოსიპედისტის სიტყვები გამართლდეს. უფრო მეტიც, ჩვენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონისგან სხვა ახალ გამარჯვებებს მოველით. როცა ამაზე გადავუკარით სიტყვა, ომარმა ასე გვიპასუხა.

— ჩემი სურვილიც დაახლოებით ეგ არის. ველოსპორტიდან წასვლის წინ მინდა კიდევ ერთხელ მოვიქნიო კუდი.

**ნ. გუგუშვილი.**

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. ფხაკაძე ფინიშის ხაზს უახლოვდება. სურათი გადაღებულია თბილისისა და ლოძის ველოსიპედისტთა ამასწინანდელი ასპარეზობის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### ცხელა ქალაქში, ცხელა სარბიელზეც

კრასნოიარსკი, 21 ივნისი. დღეს აქ, ლენინური კომკავშირის სახელობის სტადიონზე, რომელიც სამართლიანად ითვლება ციმბირის საუკეთესო სპორტულ ნაგებობად, დაიწყო სსრ კავშირის საუწყებო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობს 200-მდე ათლეტი. მათ შორის არიან ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები.

ტყუილად როდია არჩეული კრასნოიარსკი მოჭიდავეთა ამ დიდი ფორუმის მასპინძლად: სულ ახლახან ქალაქში გაიხსნა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სპეციალიზებული სკოლა თავისუფალ ჭიდაობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კრასნოიარსკი ჭიდაობის მნიშვნელოვან ცენტრად გადაიქცა მთელს ციმბირში.

ტურნირი ჩინებულადაა ორგანიზებული. სტადიონის მინდორზე, ღია ცის ქვეშ, დაგებულია ოთხი თანამედროვე ლეიბი, რომლებზეც თავდაუზოგავად ასპარეზობენ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მომავალი მფლობელები. ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი ირანში ტარდება და ციმბირის ჭავა შეძლებისდაგვარად მცირე აზიის ცხელ კლიმატურ პირობებს „გაუთანაბრეს". კრასნოიარსკში ამ დღეებში გაუგონარი სიცხეა — 30 გრადუსი ცელსიუსით, მაგრამ კიდევ უფრო „დახუთულია" ატმოსფერო საჭიდაო სარბიელზე, სადაც ერთმანეთს ეპაექრებიან ღირსეული ფალავნები.

პირველ შეხვედრებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა, კიეველმა ი. კულეშოვმა, ძველი სამყაროს ახლანდელმა ჩემპიონმა, მინსკელმა ვ. სიულჟინმა, მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონმა, თბილისელმა ლ. თედიაშვილმა, ევროპის ჩემპიონმა, ალმაათელმა ბ. სურიკოვმა და ოლიმპიადის პრიზიორმა, მახაჩყალელმა რ. აშურალიევმა პირველი ბრძოლები წმინდად მოიგეს.

წლევანდელი ჩემპიონატის ლეიტმოტივია აქტიური, შინაარსიანი და ტემპიანი ჭიდაობა. მსაჯები ყველა ღონეს ხმარობენ საიმისოდ, რომ შერკინებები მაღალტექნიკურ დონეზე ჩატარდეს.

„გავხადოთ თავისუფალი ჭიდაობა სანახაობრივად საინტერესო, მსაჯობა კი მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი", — აი, დევიზი, რაც არბიტრების სიმკაცრესა და სიფხიზლეს განსაზღვრავს. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ჩემპიონატის მსაჯთა შორისაა მსოფლიოს შვიდგზისა და ოლიმპიადების სამგზის ჩემპიონი ა. მედვედი.

ზოგიერთი გამოცდილი სპორტსმენი სტარტზევე მკაცრი მსაჯობის მსხვერპლი გახდა. დაზარალებულთა შორის აღმოჩნდა გამოცდილი თბილისელი ოსტატი ტ. ალიბეგაშვილი.

ჩემპიონატი ოთხ დღეს გაგრძელდება. მისი შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება სსრ კავშირის ორი ნაკრები: ერთი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში, მეორე — უნივერსიადაში.




ა. ჩერნიშოვმა 1970 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. ახალგაზრდა შემოქმედი სტუდენტობის წლებშიც დიდ დროს უთმობდა სპორტს და სადიპლომო ნამუშევარიც სწორედ ამ თემაზე შეასრულა. ეს იყო გობელენი „ოლიმპიური თამაშები" (იხ. მარცხენა სურ.) ზომით 144×220 სმ. ნამუშევარი ფრიადზე შეფასდა. 1971 წელს გობელენი წარმოდგენილი იყო III საკავშირო გამოფენაზე „ფიზკულტურა და სპორტი სახვით ხელოვნებაში", რომელიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დღეებში მოეწყო. იქ ჩერნიშოვის ნამუშევარმა დიპლომი დაიმსახურა.

ა. ჩერნიშოვს ეკუთვნის, აგრეთვე, გობელენი „სპორტი" (200×800 სმ). იგი შესრულებულია გამოფენისთვის „სპორტი ახალგაზრდების ხელოვნებაში", რომელიც მოსკოვში მოეწყობა მსოფლიო უნივერსიადის დღეებში.

# მსაჯთა კოლეგიის 50 წელი

დღეს თბილისის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგია საზეიმოდ აღნიშნავს თავისი არსებობის 50 წლისთავს.

ფეხბურთის არბიტრთა ამ საზოგადოებრივი ორგანოს ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ფრიად მდიდარი და საინტერესოა. მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ფეხბურთის, ჩვენში ყველაზე პოპულარული და საყვარელი სახეობის დანერგვასა და განვითარებას. მსაჯთა კოლეგიის რიგებში აღიზარდნენ კარგად ცნობილი სპეციალისტები, რომლებიც უანგაროდ, ენერგიულად ემსახურებოდნენ ფეხბურთის წინსვლას საქართველოში.

ვინ ედგა სათავეში თბილისის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიას ამ 50 წლის უკან? მათ შორის ვხვდებით გ. ეგნატაშვილის, გ. ჩიკვაიძის, ი. გაგუას, გ. ჩხიკვაძის, დ. აზატიანის, მ. მოხოვის, ვ. შერშოვის, ბ. ჩისტიაკოვის, გ. ბარათაშვილისა და სხვათა სახელებს. მათ მისცეს დასაბამი ამ საზოგადოებრივი ორგანოს საქმიანობის დასაწყისს და სწორედ მათი დიდი დამსახურებაა ის, რომ დღეს ფეხბურთის ქართველ დიდოსტატებთან ერთად მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ ჩვენი არბიტრებიც, რომლებიც გამოირჩევიან მაღალკვალიფიციური, პრინციპული მსაჯობით.

თბილისელი არბიტრების შემდგომ თაობას ეკუთვნოდნენ ა. იოსავა, ა. გონელი, დ. ცომაია, ნ. ლარიონოვი, ბ. სკოლზნევი, კ. სოლტანი, კ. კრავჩენკო, ს. ბანდელოვი, პ. ორეხოვი, ხოლო შემდგომ პერიოდში — ნ. ჩხატარაშვილი, ვ. რამიშვილი, ო. ჟორდანია, ს. სიხარულიძე, ვ. შავდია, პ. გავრილიადი, გ. აკობაშვილი და სხვ.

საბჭოთა ქვეყნისა და უცხოეთის სტადიონებზე ფეხბურთის მოყვარულები კარგად იცნობენ თბილისელი მსაჯების კ. ყრუაშვილის, გ. ბაქანიძის და სხვათა სახელებს. მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის 10 საუკეთესო მსაჯის სიაში არაერთხელ შევხვედრივართ მათს სახელებს.

თბილისის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგია ამაყობს თავისი მდიდარი ტრადიციებით, რომელთა მაგალითზეც ახლა დიდ ასპარეზზე გამოდიან ახალგაზრდა მსაჯები თ. ფანიაშვილი, გ. გვანცელაძე, თ. სადილიანი, თ. კალანდაძე, ი. კანდელაკი და სხვ.

თბილისის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგია სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს, აქტიურად საქმიანობს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მაღალი კვალიფიკაციის არბიტრთა ნაკადი მისი რიგებიდან კვლავ შეავსებს დიდი ფეხბურთის რიგებს.

**ი. გოდორაძე,**
თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ინსტრუქტორი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



# ასპარეზობათა დღიური

გთავაზობთ მოკლე ცნობებს მოსწავლეთა XXV რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ზოგიერთ სახეობაში დამთავრებულ შეჯიბრებათა შედეგებზე.

**აკრობატიკა.** რუსთავში შეჯიბრების შედეგების დაჯამების შემდეგ გუნდური პირველობა წილად ხვდა თბილისის ნაკრებს. II ადგილი დაიკავეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა, III — რუსთაველებმა.

**ნიჩბოსნობა.** ამ სახეობაში ფოთში ასპარეზობდნენ. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო სამეული ასეთია: 1. აჭარა, 2. მცხეთა, 3. ქუთაისი. თბილისელები VII ადგილს დასჯერდნენ.

**წყალში ხტომა.** შეჯიბრება ქუთაისში ჩატარდა. გოგონათა გუნდური ასპარეზობა მოიგო თბილისის ნაკრებმა. II ადგილი ხვდათ აფხაზეთის წარმომადგენლებს, III — ქუთაისელებს. ჭაბუკებში ყველას აჯობა აფხაზეთის ნაკრებმა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისელები და ქუთაისელები. კომპლექსურ ჩათვლაში გაიმარჯვა აფხაზეთის ნაკრებმა. II ადგილი დაიკავეს თბილისელებმა, III — ქუთაისელებმა. პირად პირველობაში ყველას აჯობეს თბილისელმა ს. ნიკოლოტოვამ და აფხაზეთის წარმომადგენელმა ა. ანტონოვმა. ორივე უძლიერესი იყო 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში.

**ქართული ჭიდაობა.** გორში გამართულ ასპარეზობაში ახმეტელმა ფალავნებმა ტოლი არავის დაუდეს. II ადგილი ხვდათ ყვარლელებს, III — კასპელებს.

# არც ბატუტია და სპეციალისტებიც სანთლით საძებარი არიან

ჩვენი აკრობატები საკავშირო სარბიელზე ხშირად გუნდურ საპრიზო ადგილს კარგავდნენ იმის გამო, რომ ბატუტზე ხტომაში უსუსურად გამოიყურებოდნენ.

მიზეზად ის იყო, რომ ბატუტი არ ჰქონდათ. ახლა, როგორც ცნობილია, ბატუტზე ხტომა აკრობატიკას გამოეყო და სპორტის დამოუკიდებელ სახეობად იქცა. მართალია, საქმე ცოტა გამოკეთდა, მაგრამ ბატუტი საქართველოში კვლავ სანთლით საძებარია: ეს იარაღი მხოლოდ თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, აფხაზეთსა და აჭარაში აქვთ.

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაშიც სწორედ ზემოჩამოთვლილი კოლექტივები ჩაებნენ.

გუნდურ ასპარეზობაში საუკეთესო იყო თბილისის ნაკრები — 226,68 ქულა.

— თბილისელები ბევრად სჯობდნენ მეტოქეებს და უკეთეს შედეგსაც მოიპოვებდნენ, ბატუტზე ხტომა მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის პროგრამაშიც რომ შეეტანათ. მაშინ თბილისის ნაკრებსაც უკეთ შევარჩევდით, — სინანულით გვითხრა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ო. კაკიაშვილმა.

გუნდურ პირველობაში მეორე იყო ქუთაისის კოლექტივი (197,27), ხოლო მესამე — რუსთავის ნაკრები (187,41).

პირადი შეჯიბრების მონაწილე გოგონებში ბათუმელი ლ. სტრელნიკოვა პერიფერიიდან ერთადერთი იყო, ვინც კარგად იასპარეზა. მან აბსოლუტური პირველობა მოიპოვა. აფხაზეთის გუნდის წევრთაგან საპატიო კვარცხლბეკზე ვერავინ ავიდა. როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა გვითხრა, ამის მიზეზი კვალიფიციური მწვრთნელების ნაკლებობაა.

ახლა კი გაგაცნობთ შეჯიბრების პრიზიორებს:

**აბსოლუტური პირველობა.** გოგონები. ლ. სტრელნიკოვა — 15,4, ც. სურგულაძე — 14,3, დ. გოგისვანიძე (ორივე — ქუთაისი) — 10; ჭაბუკები. ს. მარქარიანი — 17,6, ს. ანდრიასიანი — 17,5, ზ. ოშხელი (ყველა — თბილისი) — 16,1.

**სინქრონული ხტომები.** გოგონები. ვ. რემიზოვა, ც. ბუძიშვილი (თბილისი) — 12,3, სურგულაძე, გოგისვანიძე — 5,5, ნ. ვასილიევა, ო. კრესი (ბათუმი) — 3,1; ჭაბუკები. ოშხელი, მარქარიანი — 15, ი. როდიჩევი, გ. ავალიანი (რუსთავი) — 13,8, ა. არუთინიანი, მ. ქარსელაძე (ქუთაისი) — 12,5.

**ა. გურასაშვილი.**



## მოროზოვა და მეტრეველი ნახევარფინალში გავიდნენ ✦ გამარჯვებული... ტურნირს გამოეთიშა

◆ ლონდონი, 22 ივნისი. ო. მოროზოვა და ა. მეტრეველი გავიდნენ ადგილობრივი „კუინს-კლაბის" კორტებზე მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრების ერთეულთა თანრიგების ნახევარფინალში. მეოთხედფინალში მოსკოველმა ამერიკელ ქ. კემერს აჯობა (2:6, 6:4, 6:4), თბილისელმა კი ი. ფასბენდერს (გფრ) — 6:4, 6:2. ნახევარფინალში მეტრეველს ძალიან ძლიერი მეტოქე ეყოლება — საფრანგეთისა და იტალიის ამასწინანდელი ჩემპიონატებში გამარჯვებული რუმინელი ჩოგბურთელი ი. ნასტასე. ისიც უნდა ითქვას, რომ მეტრეველმა აქ ისეთი გამოცდილი ოსტატები დაამარცხა, როგორიც არიან ჰოლანდიელი ტ. ოკერი (მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი), ახალზელანდიელი ბ. ფეირლი (ამ ქვეყნის გუნდმა ამას წინათ დევისის თასის გათამაშების მატჩში მოუგო იუგოსლაველებს). დანარჩენი საბჭოთა ჩოგბურთელები „კუინს-კლაბის" ტურნირში უხეიროდ გამოვიდნენ, ბრძოლას ადრეულ ეტაპებზე გამოეთიშნენ. მხოლოდ მოსკოველმა ნ. ჩმირიოვამ დატოვა ბრძოლის ველი... გამარჯვებულმა. ქალთა ერთეულების შეჯიბრების პირველ წრეში მან შვედ მ. პეგელს სძლია. მაშინ გამოირკვა, რომ საბჭოთა ჩოგბურთელს ჯერ არ შესრულებია 16 წელი და ტურნირის ორგანიზატორებმა კანონის ძალით ეს 15 წლის სპორტსმენი „გადააყენეს". ახლა ჩმირიოვა „საბავშვო უიმბლდონის" — გოგონათა და ჭაბუკთა არაოფიციალური მსოფლიო პირველობის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

## მორიგი ტირაჟი

**ხაბაროვსკი, 20 ივნისი.** დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრები: 12 (წყალსამოტორო სპორტი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 23 (მძლეოსნობა), 32 (წყალში ხტომა), 39 (სამბო), 43 (ფარიკაობა).

რედაქტორი ჯ. კაკაბაძე.


თბილისი სპორტული ბაზრობა

რეგბი. „ლოკომოტივის" სტადიონი. დღეს. სსრ კავშირის ჩემპიონატი. „დინამო" (თბილისი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი). დასაწყისი 18 ს.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

რაგბი

სსრ კავშირის პირველობა
24 ივნისს
„ლოკომოტივი" (თბილისი) — სსა (მოსკოვი)
დასაწყისი 18 ს.

დღეს
ქადრაკისა და მთამსვლელობის სახახლეში (ლენინის ქ. № 87) შედგება თბილისის ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.
დასაწყისი 15 ს.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 02706